# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №49

ქ. რუსთავი                                                                                    17 ივლისი 2015წ.

ერთის მხრივ, შპს „მაპანეტი-7“-ი წარმოდგენილი დირექტორის მადონა ჩარგეიშვილის სახით (შემდგომში “შემსრულებელი“), და მეორეს მხრივ ონის რაიონი სოფ. სორის საჯარო სკოლა, წარმოდგენილი დირექტორის რუსუდან მეტრეველის სახით (შემდგომში “დამკვეთი“) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## ხელშეკრულების საგანი

“დამკვეთი“ უკვეთავს, ხოლო “შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ონის რაიონში სოფ. სორის საჯარო სკოლის საკადასტრო და შიდა აზომვითი ნახაზები, შემდგომში “სამუშაო“ და ჩააბაროს “დამკვეთს“ აღნიშნულ ვადებში.

## ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს სამუშაოს“ დასრულებამდე. სამუშაოს შესრულების ვადაა 30 დღე.

## ხელშეკრულების პირობები

“დამკვეთი“ ვალდებულია გადაუხადოს “შემსრულებელს“ შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი ღირებულება სამუშაოს დასრულების შემდეგ ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში. სამუშაო დასრულებულად ითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## მომსახურების ღირებულება

ხელშეკრულების საფუძველზე “შემსრულებლის“ მიერ ჩასატარებელი სამუშაოების მთლიანი ღირებულება შეადგენს **300.00 (სამასი ლარი 00 თეთრი)** ლარს.

## სანქციები

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, თუ ეს დარღვევა გამოწვეული არ არის “დამკვეთი“-ს მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, “შემსრულებელი“ უხდის “დამკვეთს“ ჯარიმის სახით ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,2%-ს ყოველ გადაცილებულ დღეზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში (თუ ეს დაგვიანება გამოწვეულია “დამკვეთი“-ს მიზეზით) “დამკვეთი“ უხდის “შემსრულებელს“ ჯარიმის სახით ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,2%-ს ყოველ გადაცილებულ დღეზე.

## სხვა პირობები

ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

ამ ხელშეკრულების საერთო პირობები, მათ შორის ფორს-მაჟორისა და ინსპექტირების პირობები, მიიღება "დებულება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" (დამტკიცებულია შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის მიერ 03.01.2006 წლის №1 ბრძანებით) დანართის სახით.

## ანგარიშსწორების წესი

მიმდინარე ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს, "დამკვეთსა" და "შემსრულებელს" შორის როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.

## მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

| "შემსრულებელი" | "დამკვეთი" |
|---|---|
| შპს „მაპანეტი-7" ს.კ. 216452871 | სსიპ სორის სკოლა ს.კ. 237981172 |
| ქ. რუსთავი კლდიაშვილის №4/41 | ონის რ-ნი სოფ. სორი |
| სს "თიბისი ბანკი" | |
| ბ.კ. TBCBGE22 | |
| ა/ა GE29TB7314836020100002 | |
| ტელ: 577 72 00 37 | ტელ: 551 09-39-00 |
| დირექტორი: /მ. ნარგეიშვილი/ | დირექტორი: /რ. მეტრეველი/ |

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. რუსთავი                                                                 23 ივლისი 2014 წელი

შპს "მაპანეტი-7"-ს დირექტორმა მადონა ჩარგეიშვილმა ერთის მხრივ და სორის საჯარო სკოლის დირექტორმა რუსუდან მეტრეველმა მეორეს მხრივ, შევადგინეთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი მასზედ, რომ მხარეთა შორის 2015 წლის 17 ივლისს გაფორმებული №49 ხელშეკრულების პირობა შესრულებულია.

კერძოდ, შესრულდა და ჩაბარდა ონის რაიონი სოფ. სორის საჯარო სკოლის საკადასტრო და შიდა აზომვითი ნახაზები. შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 300.00(სამასი ლარი 00 თეთრი) ლარი.

ჩაიბარა:

სორის საჯარო სკოლის

დირექტორი: /რ. მეტრეველი/

ჩააბარა:

შპს "მაპანეტი-7"-ს

დირექტორი: /მ. ჩარგეიშვილი/